ბიბლიოთეკა

# სახალხო გაზეთი

№ 1046 კვირა, 17 ნოემბერი 1913 წ. № 046

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედონი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთ სთვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

**სახალხო გაზეთი**

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

პირველი ნოემბრიდან წლის ბოლომდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **1 მ. 50 კ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

---

**მარიამ ივანეს ასული, ნიკოლოზ ესტატეს ძე, თამარა აგაბეკოვის ასული, გერასიმ და სამსონ ივანეს ძენი წვერავები, ოლგა ესტატეს ასული და მთავარ დიაკონი ტიმოთე გიორგის ძე ბაკურაძეები** ღრმის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 11 ნოემბერს გარდაიცვალა პირველისა—ძვირფასი მეუღლე, მეორესი მამა, მესამესი—მამამთილი, მეოთხე და მეხუთესი—ძმა და უკანასკნელისა სიმამრი

## ესტატე ივანეს ძე წვერავა.

გამოსვენება მოხდება კვირას, 17 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ნავთლუღი, რეიტერის ქუჩა, საკუთარი სახლი № 11, ზევითა წმ. ბარბარეს ეკლესიაში, დაკრძალვა იმავე ეკლესიის გალავანში. 807

---

**მართა ივანეს ასული კნ. ვაჩნაძისა, მიხეილ ზაქარიას ძე კნ. ვაჩნაძე შვილებით: სვიმონი და არჩილით, მამიდანი ნინო და ელენე ზაქარიას ასულნი ვაჩნაძისანი** აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი შვილის სათ. აზნ. გიმნაზიის მე-VII კლ. მოწაფის

## ლევან (ლეო) ვაჩნაძისა

გადახდილ იქნება დამა ლაგოდეხში დღეს, 17 ნოემბერს. 813

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 22—8.

კვირას, 17 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ **ნინო ჩხეიძისა და ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

## ურიელ აკოსტა,

დრამა 5 მოქ. გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ჩხეიძე, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, ბარველი, გომელაური, გუნია, თარალაშვილი, იმედაშვილი, სარაული, ხონელი, ციციშვილი, შანშიაშვილი, შალიკაშვილი.

**დასაწყ. სწორედ საღამოს 8 ს.** ✦ ადგილების ფასი **ჩვეულებრივია.**

რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** ადმინ. ქართ. დრამ. საზ.

**ანონსი:** მზადდება წარმოსადგენად: „დიდებული არტისტი“, „ჰამლეტი“, „სინათლე“ და სხვ. 1576

---

## „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო

**აცხადებს** კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ **უკანასკნელ ვადად 1914 წლისათვის საწევრო ბილეთების განახლებისა დანიშნულია ამა წლის 20 დეკემბერი.** ვინც თავის დროზე საწევრო ბილეთებს არ განაახლებს, ჰკარგავს კლუბში უფასოდ შესვლის უფლებას 1914 წლის 1 იანვრიდან.

საწევრო ფულების გადახდა და ბილეთების განახლება შეიძლება კლუბის კანტორაში ყოველ-დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 9 საათიდან ღამის 12 საათამდე. 1585

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**კნიაჟევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**ხტაციონარული განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი ვ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1. ს.<br>**ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა ოთხშ. კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. $1—1^{1}/_{2}$.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1.<br>**ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^{1}/_{2}$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რეაქციისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და პილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

---

ПОСТАВЩ. ДВОРА Е.И.В. ВЕЛ. КН. НИКОЛАЯ МИХАИЛОВИЧА

ЗАЯВ. ОТД. ПРОМЫШЛ. ФАБРИЧ. ЗНАКЪ

## გამოშვებულია!!!

ახალი პაპიროსები

## „სამანიშნო“ 20-ცალი 5 კ.

ეს პაპიროსები ჩაწყობილია უბრალო ყუთში, რაც შეძლებას იძლევა შიგ საუკეთესო ხარისხის თამბაქოს ჩაწყობისას.

**ი ყ ი დ ე ბ ა ყ ვ ე ლ გ ა ნ**

რადგანაც ჩვენი ეთიკეტების მიბაძვით ყალბი ეთიკეტების კეთებას ბოლო არ ეღება, რასაც ჩვენი მუშტრები შეცდომაში შეჰყავს, ვსთხოვთ თამბაქოს მწეველთ ყიდვის დროს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის დამტკიცებულ მარკას და გერბს.

## ს. ს. ბოზარჯიანცი შვილ.

ფირმა არსებობს 1858 წლიდან.

1496

---

ტელეფონი № 795 **ქართული თეატრი** წარმოდგ. № 21—8

დილით, კვირას, 17 ნოემბერს, 1913 წ. ქართულ დრამატ. საზ. დასის მიერ გაიმართება **საბავშვო წარმოდგენა.** წარმოდგენილი იქნება **მეორედ**

## პრინცი მეღორე

პიესა 4 მოქმ. ანდერსენის ზღაპრიდან გადმოკეთებული თარგმ. მ. ქორელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: აბაშიძე, ასათიანი, თოიძე, მდივანი, პიერეტა, სალარაძე, ქიქოძე, შოთაძე, ჯავახიშვილი, ბ-ნნი: ბარველი, გომელაური, იმედაშვილი, სარაული, ურუშაძე, ქორიძე, ხონელი, შანშიაშვილი, შალიკაშვილი. **დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე.**

**ადგილების ფასი დაკლებულია.** რეჟისორი **მ. ქორელი.**

**ანონსი:** მზადდება წარმოსადგენად: „დიდებული არტისტი“, „ეროს და ფსიქეა“, „ჰამლეტი“, „სინათლე“ და სხ. ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზ. 1576

---

**პირველ-ხარისხოვანი**

## დ ი დ ი ც ი რ კ ი

## ძმ. ესიკოვსკებისა



**მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე დღეს, 17 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება**

## 2 დიდი საგასტროლო წარმოდგენა.

**დებიუტი გიმნასტ დების პეტერსონისა ჟონგლიორ ხეითნისა** და ამერიკელი ცხიარულების ხელმწიფის ჯაკსონისა. ჩამოვიდა რუსი მოჭიდავე ნიკ. ვახტუროვი და გამოიწვია ყველა მოჭიდავე. დღეს ჭიდაობენ: ვახტუროვი და ზალევსკი; გადამწყვეტი—კაინი და საბატიე; გადამწყვეტი—ციპსი და ფონ სონადო; **ანონსი:** ვახტუროვის თხოვნით გადამწყვეტი ჭიდაობა ივ. კაინის და ვახტუროვის შორის. გადამწყვეტი საბატიე და ფონ სანადო, გადამწყვეტი მაისურაძე და კოპიოვი. დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 811

---

## რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნიკოლოზის ხიდთან № 23—24,

## მიღებულია ახალი საქონელი.

სეზონის შემდეგ გადარჩენილი საქონელი ძლიერ იაფ ფასებში. იყიდება საფაბრიკო ფასების 30% დაკლებით. დარწმუნებულნი ვართ, საქართველო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დარჩებიან. აქვე შეიძლება შეკვეთა.

**მიღებულია დიდი წყება დამზადებული ტანისამოსისა.**

**მამაკაცთათვის, ქალებისათვის და ბავშთათვის. აგრეთვე მამაკაცების „კოსტიუმები“ და ქალების კაბები და კოფთები ცალ-ცალკე.**

1491 პატივისცემით **ძ-ნი პორტუგალოვისა.**

---

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

**წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:**

ქართლის ცხოვრება. მარიამ დედ. ვარ. 3 მ.
საქართველოს ისტორია ბაქრაძისა — 1 მ.
„ გროსეტი, 1-ლი, 70 კ.
„ „ „ II— 70 კ.
ჯანაშვილი მოს. აღმოდგინე, ანუ „სამი ისტორიული ქრონიკის და წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ შესასწორ სახელმძღვანელო — — — 30 კ.
— ნაშრომი 1-ლი — — — 20 „
— „ მე-2 ე — — — 20 „
— „ მე-3-ე — — — 20 „
— საქართველოს ისტორია — 1 მ.
— მეფე ერეკლე — — — 10 „
— უკვდავთა დღიდღებანი — — 10 „
— ფარსადან გორგიჯანის ძე და მისი შრომანი — — — 40 „
— ქართული მწერლობა — — 80 „
ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია — — — — 80 „
— საქართ. ეკონომიური ისტორია 40 „
— საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია — — 15 „

**ახლად მიღებული წიგნები:**

ძველი ქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვასი — — — 2 მან.
გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა ს. კაკაბაძისა — — — 30 კ.
**თაყაიშვილი ექვ.** Археологичеcкія экскурсіи, вып. 4— — 75 კ.
ამირანის ლექსი, პ. მირიანაშვილისა 30 კ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

---

**ელექტრონის, რენტგენის სინათლის**

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**საწოლი ოთახებით**

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

---

**ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა**

## გ. მეჯრაბიანცი

დაბრუნდა ეკლექტიკიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**— და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა.** ხელოვნური **პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვარებური სხივებით ფილტვებისა და გულის გასინჯვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

**9—10 სათ. ხაწყლებს უფასოდ.**

**ბებუთოვის ქ. სახ. 28, ტელეფონი 7—92.** 1516

---

მოსწიეთ ახალი

## პაპიროსები

## ჩ ა ი კ ა

10 ცალი 3 კაპ. — 20 ცალი 6 კაპ.

ამხ.

## კომეტა.

ტფილისში

1497

---

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**აზვლედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა. ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელინკი.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., $10—11^{1}/_{2}$ ს.

**ბოუოვსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**გორიბოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

**ასპიხოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. იოხელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; გასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^{1}/_{2}$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო კანტ. პირდაპირ. 102

---

## საგურამოში

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდ გზის მომავალ ხიდის მახლობლად **დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

---

**ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების**

## გამგე კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წლიური **საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, დილის 11 საათზედ,** ქართული გიმნაზიის შენობაში.

---

## ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების საბჭო

ამით აცხადებს, რომ ყოველგვარი მიწერ-მოწერა და აგრეთვე მასალები ალმანახში მოსათავსებლად მიიღება საზოგადოების მდივნის **ნინო რცხილაძის ბინაზე (მოსკოვის ქუჩა, № 9).** 1597.

---

**ხელოვნების წამხალისებელი**

## კავკასიის საზოგადოება

**კვირას, 17 ნოემბერს, დილის 11 საათზე ჰმართავს**

## აუქციონს

საზოგადოების წევრთა ხელოვნურ ნაწარმოებისას საზოგადოების ბინაზე (გრიბოედოვის ქუჩა, № 24, არშაკუნისეული სახლი).

დარბაზის დათვალიერება 14 ნოემბრიდან დილის 10—5 საათამდე მსურველთ უფასოდ შეუძლიანთ. 1588

**ხეხილების გასხვლა**
**ს. ს. ხეთაგურის სანერგე**
მსურველთ **აწვდის გამოცდილ მებაღეებს ხეხილის გასასხვლელად.** ცნობების მისაღებად მიმართვა შეიძლება წერილობით: ტფილისი, ს. ს. ხეთაგურის სანერგე.
Тифлисъ, питомники С. С. Хетагури. 1560

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი** ქბილისა **ნინო რცხილაძე** გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., სად. 5—7 ს.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

**ექიმი** ქ. გორში (დოკტორანტი). **ზ. დ. წინამძღვრიშვილი** ყოფილი, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

**ექიმი** მღვდელი **ს. ა. ლეჟავა** მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, ტელ. 16—17. 779

**ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს $5^1/_2$ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

**ექიმი მეიფარიანი** იღებს შინაგანი, ბავშვისა და ვენერიულ ავადმყოფებს. დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათ. **ქუთაისი**, ტფილისის ქ., საკუთარი სახლი, № 30, ტელეფონი № 150. 1855

**დოქტორი ი. ო. უკლადნიკოვი** ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—$7^1/_2$ ს. კვირაობით 11—12 საათამდე ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12 25. 251

**დოქტორი მედიცინისა გ. ა. ახვერდოვი,** პეტერბურგის სიფ. ლისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., სად. 6—8 ს. **სემინონოვის ქ.**, № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ბლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., სად. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

**ვაგზლის პერძო სამკურნალო**
**გარედან ყოველ დღე მოხიარულე ავადმყოფთათვის.**
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
**ე. ხ. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.
**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.
**ბ. ა. ბოჩოევი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$ ს.
**ექ. ქალი ოსხელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
**გ. გ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
**წამლობა „606“-ით** 1462

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**
**ორდინატორად ხამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

**ექიმი გ. მ. ღოღობერიძე** ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 1—3 საათამდე. საბებიო და ქალის ავადმყოფობანი. სლ ეპლოვის შესახვევი № 3. 1524

**ექიმი მ. მ-ძე მანსვეტაშვილი** გადავიდა ახალ სახლში. ოლღას ქუჩა, სახ. მელიქ-აზარიანცისა, № 3. შინაგანი, ძარღვების და ბავშვების ავადმყოფობათა. იღებს 10—12 დილით, 6—7 საღამოთი ტელეფონი № 16—02. 707


# ტფილისი, 17 ნოემბერი

**ახალი ეგზარხოსის ჩამოსვლის გამო.**

ქართული ეკლესიის ბედი თავის ისტორიულ წარსულში ტრაღიკული იყო. პატარა საქრისტიანო ქვეყანა ნიშანში ჰყავდათ ამოღებული მის მეზობელ სახელმწიფოებს. საქართველოც იბრძოდა და მთელი თავისი ძალ-ღონითა სცდილობდა დაეცვა სარწმუნოება, რაც ისტორიულ წარსულში ამასთანავე ერთად იყო დაცვა პოლიტიკურ დამოუკიდებულობისა და ეროვნული თავისებურობისა. ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ საქართველოს, მაგრამ იყო დრო მშვიდობიანი ცხოვრებისაც. ამისთანა იშვიათი ხანა ქართული კულტურის აყვავების ხანად გადაიქცეოდა ხოლმე. მაშინ ვითარდებოდა საეკლესიო ცხოვრებაც. აუარებელი ეკლესიები, განსაკუთრებული სიყვარულითა და მზრუნველობით აღმართულნი მთებსა და მიუვალ ადგილებში, სადაც საეკლესიო მყუდროება გარეშე მტრებს ნაკლებად უნდა დაერღვია, ნათლად მოწმობენ, რაოდენ ძლიერი იყო სარწმუნოებრივი გრძნობა ქართველი ხალხისა და რაოდენი სარწმუნოებრივი აღფრთოვანება ჩაუქსოვიათ საეკლესიო საამშენებლო მუშაობაში. გადაავლეთ თვალი საქართველოს, მოიგონეთ ის ადგილები, სადაც დღეს ქართველები აღარც კი სცხოვრობენ, მაგრამ სადაც ჯერ კიდევ შენახულა ნაშთები ქართული ეკლესიებისა, დააკვირდით ამ ცოცხალ მოწმეებს ქართული საეკლესიო ცხოვრების მაჯის ცემისას და თქვენ ერთბაშად დარწმუნდებით, რომ ქართული ეკლესია თავის ისტორიულ წარსულში ბრწყინვალე ცხოვრებით სცხოვრობდა.

განვლო დრომ, საქართველოში დამყარდა ახალი პირობები ცხოვრებისა, ქართულმა ეკლესიამ გარეგნული მშვიდობიანობა მოიპოვა, მაგრამ ამან საეკლესიო ცხოვრება ვერ განაახლა. რუსეთში გამეფებულმა გამარუსებულმა პოლიტიკამ ქართული ეკლესიაც გარუსების პოლიტიკის იარაღად აქცია. ამ გარემოებამ ჩაჰკლა ცოცხალი სული საეკლესიო ცხოვრებისა, შეასუსტა მისი მაჯის ცემა და საცოდავ მდგომარეობაში ჩააყენა

ახალი ეგზარხოსი, როგორც ამ რამდენისამე ხნის წინად სატახტო გაზეთებში დაბეჭდილ ცნობებიდან გაიგებდა მკითხველი, იმ კეთილი გრძნობით არის გატაცებული, რომ ქართველი ეკლესიის დაცემული სული აღადგინოს და საეკლესიო ცხოვრება განაცხოველოს. ახალ ეგზარხოსს უპირველესად ყოვლისა საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ იგი საეკლესიო საქმეებში პოლიტიკის შეტანის წინააღმდეგი იქნება. ეს პირველი დადებითი მუხლია ახალი ეგზარხოსის სამოქმედო გეგმისა. რას ნიშნავს ეს მტკიცება? თავის თავად ეს აზრი თითქოს ადვილი გასაგებია, მაგრამ ცხოვრებაში ხშირად სულ სხვანაირად ჰხდება ხოლმე. ის, რაც ერთს პოლიტიკად არ მიაჩნია, მეორესთვის შეიძლება უკიდურეს პოლიტიკად გადაიქცეს. ავიღოთ, მაგალითად, საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა. ეს საკითხი ერთი უმწვავესი საკითხთაგანია. მას უკვე თავისი წარსული აქვს და ჯერაც გადაუწყვეტელი არ არის. ქართველი სამღვდელოება და ქართველი საზოგადოება ელის იმ დროს, როდესაც, თანახმად უმაღლესი ბრძანებისა, რუსეთის საეკლესიო კრება შეუდგება ამ საკითხის გამორკვევას და ქართულ ეკლესიის ცხოვრებას მოაწყობს იმ კანონიურ საფუძვლებზე, რომელზედაც დამყარებული უნდა იყოს ყოველი ეკლესია. ვოსტორგოვის ტიპის მოღვაწეთათვის ეს სურვილი პოლიტიკაა, მაგრამ, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვით უმაღლესი ბრძანება იმასა ჰმოწმობს, რომ საქართველოს ავტოკეფალიის საკითხს მხოლოდ კანონიურის თვალსაზრისით შეიძლება ვუცქიროთ და უპირველესად ყოვლისა გარკვეული პასუხი უნდა ჰქონდეს შემუშავებული იმ ადამიანს, რომელსაც გულწრფელად ჰსურს ქართველი ეკლესიის აჰყვავება. სურვილი ქართველი საზოგადოებისა და სამღვდელოებისა უკვე გამორკვეულია. საზოგადოების რომელი წრეც არ უნდა აიღოთ, —თავად აზნაურობიდან დაწყებული თვით სამღვდელოებამდე,—ყველას შეურყეველ რწმენას შეადგენს ის გარემოება, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია ერთად ერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლიან იხსნას ქართული ეკლესია განსაცდელისაგან. ქართული ეკლესიის ავტოკეფალია პოლიტიკურ საკითხად მოეჩვენება მხოლოდ იმას, ვისაც თვითონა ჰსურს ეკლესია პოლიტიკურ მიზნებისთვის გამოაყენოს. თუ ქართული ეკლესიის რუსიფიკაცია ვისმეს მიზანს შეადგენს, მაშინ ქართული ეკლესიის კანონიერი უფლებების აღდგენა იქნება, მართლაც, სასიამოვნო არ იყოს. მაგრამ, თუ გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს საკითხი, რომ ქართული ეკლესიის რუსიფიკაცია არავისა ჰსურს, მაშინ რად უნდა იყოს პოლიტიკური ავტოკეფალიის საკითხი? ავტოკეფალია საშუალებაა ქართული საეკლესიო ცხოვრების განახლებისა, აქვს საფუძველი კანონიურ თვითარსებობისა და ამიტომ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის, ვინც გულ-წრფელად არის დაინტერესებული ეკლესიის სვე-ბედით, წინააღმდეგი გაჰხდება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისა.

ჩვენ არ ვიცით, რას ჰგულისხმობდა ახალი ეგზარხოსი, როდესაც ამბობდა, პოლიტიკის წინააღმდეგი ვარო. ჩვენ გვგონია, რომ მას აზრა ჰქონდა, დაეჯერებინა თავისი მომავალი სამწყსო, რომ იგი თვით არ შეიტანს პოლიტიკას ქართულ ეკლესიის მართვა-გამგეობაში და ეკლესიას, რომელიც ყოველივე პოლიტიკის გარეშე უნდა იყოს, გამარუსებელ პოლიტიკის იარაღად არ გადააქცევს. ჩვენ ასე ვფიქრობთ და დიდად მოხარულნი ვიქნებით, თუ არა ვსცდებით. ახალ ეგზარხოსს უთქვამს, ჩემი მიზანია გავამაგრო ქართული ეკლესიის სულიო. ქართულ ეკლესიასაც სწორედ ეს ესაჭიროება. მრავალი წლების პოლიტიკური ექსპერიმენტების ზედ-გავლენით ქართული ეკლესია დაეცა, დაჰკარგა თავისი ძველებური სიდიადე და სიმტკიცე. ეკლესიები ინგრევა, მცხეთის ტაძარიც კი ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე, თითქოს იგი სადღაც გავერანებულ, მიუვალ ადგილზე იყოს. არავითარი ყურადღება, არავითარი მზრუნველობა. ქართული ეკლესია მოუწყობელია და საშინელ კრიზისს განიცდის. მას სრულიად დაეკარგა ის ავტორიტეტი, რომელიც მრავალი საუკუნოების განმავლობაში დიდის შრომით მოიპოვა. ბევრი რამ არის გასაკეთებელი და ბევრიც შეუძლიან გააკეთოს ქართული ეკლესიისადმი მეგობრულად განწყობილმა მმართველმა.

# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო).

**15 ნოემბრის სხდომა.**

**თავ. ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს. ნაკაზის პროექტის განხილვა გრძელდება. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ რა ვადით უნდა ირჩევდნენ კომისიის პრეზიდიუმებს. კომისიის ნაწილი მოითხოვდა პრეზიდიუმები ერთი წლის ვადით აირჩიონ ხოლმე, უმრავლესობა კი წინადადებას იძლევა: ერთი წლის შემდეგ კომისიამ თვისი პრეზიდიუმი სამუდამოდ აირჩიოს.

**ნეკრასოვი.** კომისიის უმცირესობას ემხრობა.

**კრუპენსკი** პრეზიდიუმის ყოველწლიური არჩევა კომისიის მუშაობაში პოლიტიკას შეიტანს, რაც მის ნაყოფიერ მუშაობაზე ცუდად იმოქმედებს.

**მაკლაკოვის** აზრით საჭიროა პრეზიდიუმის ყოველ წლივი არჩევა.

**სკოროპადსკი** კომისიის უმრავლესობის აზრს იცავს.

ნეკრასოვის წინადადება ოპოზიციის, მემარჯვენეთა და ცენტრის ნაწილის ხმათა უმრავლესობით მიიღეს.

კამათს იწვევს პროექტის ის მუხლი, რომელიც კომისიის სხდომებზე დასწრებას უკრძალავს სათათბიროს იმ წევრებს, ვინც კომისიის წევრებად არ ითვლებიან.

ამ მუხლის წინააღმდეგ ილაპარაკეს **იანუშკევიჩმა, ჩხეიძემ, კარაულოვმა და ეფრემოვმა.**

**ნეკრასოვი.** ეს მუხლი ხალხის წარმომადგენელთა ღირსებას ამცირებს. მინისტრებს უფლება ეძლევათ კომისიის სხდომებზე მოიწვიონ ვინცა ჰსურთ,—სათათბიროს წევრების კი კომისიის სხდომებზე დასწრება იკრძალება.

**მაკლაკოვი** კომისიის რედაქციას იცავს; საფრანგეთში კომისიის სხდომებზე არა წევრთ არ უშვებენ. მათი დასწრება მხოლოდ გამონაკლისია. პარველმა სათათბირომ ეს მუხლი ამ მოსაზრებით შეიტანა: ეფრემოვი მაშინ წინააღმდეგი არ იყოო.

ხმის უმეტესობით პროექტის მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

კამათს იწვევს აგრეთვე ის მუხლი, რომელიც ადგენს: კომისიის დახურულ სხდომათა საქმის წარმოება არ ექვემდებარება არა წევრთა განხილვას.

ამ მუხლის წინააღმდეგ ილაპარაკეს **კერენსკიმ** და **შინგარევმა.** მუხლს იცავდნენ **კრუპენსკი** და **მაკლაკოვი.**

ეს მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

**თავ. ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს.

შემოსულ საქმეთა სიაში არის შეკითხვა სახლვაო მინისტრისადმი, ობუხოვის ქარხნის მუშათა მდგომარეობის გამო, რამაც მუშათა ეკონომიური გაფიცვა გამოიწვია. შეკითხვა მიმართულია აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრისადმი ადმინისტრაციის მიერ მუშათა საპროფესიო კავშირების დევნის თაობაზე.

ასარჩევია სათათბიროს თავმჯდომარე. კანდიდატებს ბარათებით ასახელებენ.

**ჩხეიძემ** რიგის გარეშე განცხადება შეიტანა. მეოთხე სათათბიროს პრეზიდიუმი არამც თუ მესამე სათათბიროს პრეზიდიუმის გზას დაადგა, უფრო მოუთმენლობაც გამოიჩინა უკიდურეს მემარცხენეთა მიმართ. ზომიერმა ოპოზიციამ ერთ-ერთ კონფერენციაზე ლოზუნგად აღიარა სამშობლოს დაცვა რევოლიუციისაგან; ეხლა იგი ამ შემთხვევით ჰსარგებლობს, რათა უფრო მჭიდრო კავშირით შეჰკვრას ოქტომბრისტებს. სოც.-დემოკრატები ამ გზით ვერ ივლიან და მონაწილეობას ვერ მიიღებენ პრეზიდიუმის არჩევნებში.

ბარათების დათვლის შემდეგ გამოირკვა, რომ როძიანკომ 204 ხმა მიიღო.

**თავ. ვოლკონსკი** შეეკითხა როძიანკოს კენჭის, ყრაზე თანახმაა თუ არა.

როძიანკომ თანხმობა განაცხადა.

როძიანკოს კენჭი უყარეს. ამოუვიდა 272 თეთრი 70 შავი.

**როძიანკო** თავმჯდომარის ადგილს იჭერს; გაისმის მხურვალე ტაშისცემა ცენტრისა და ოპოზიციისა.

**სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო:** „ბ.ბ. სათათბიროს წევრნო! თქვენ მიჰხვდებით, თუ რამდენად მაღელვებს თქვენი არჩევა, გაიგებთ, თუ რა ძნელია ამ ჟამად ჩემთვის ლაპარაკი. თქვენდამი ღრმა რწმენით ხელახლად ვკისრულობ სახელმწიფო სათათბიროს ხელმძღვანელის პასუხსაგებ მოვალეობას. მტკიცედ მრწამს, რომ ყოვლად შემძლებელი ღმერთი ნაყოფიერს ჰყოფს ჩვენს შრომას, მრწამს, რომ იგი შეძლებას მომცემს თქვენი უმაღლესი ნდობა გავამართლო. მთავარ სახელმძღვანელო დებულებად ჩვენს მოქმედებაში იქნება, როგორც წინად, შეურყეველი ერთგულება რუსეთის უმაღლეს მბრძანებელისადმი. (ტაში მარჯვნივ, ცენტრსა და მარცხნივ), განუსაზღვრელი (მარცხნივ ხმები: „ვაშა“) ერთგულება მონარქის მიერ ბოძებულ წესწყობილებისადმი (ტაში ცენტრსა და მარცხნივ), რუსეთის სამხედრო ძლევამოსილებისა და ხალხის კულტურულ და ეკონომიურ განვითარებისადმი მისწრაფება (ტაში მარჯვნივ, ცენტრსა და მარცხნივ). სახელმწიფო სათათბირო მშვიდობიანის და თანაც შეუჩერებლივ მისწრაფებით უნდა სცილობდეს უდიადეს მიზანთა განხორციელებას, რაც უმაღლესად გვეწყალობა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით. (მარცხნივ ხმა: „დიდი ხანია საჭირო იყო“) ჩვენი ძლიერი და ფართო სამშობლოსთვის აუცილებლივ საჭიროა 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელება; იგი მოითხოვს მტკიცესა და ნათელ კანონების შემუშავებას, რომელნიც უნდა ეთანხმებოდეს მანიფესტში აღნიშნულ უდიადეს მიზანს. (ტაში). სათათბიროს უწმინდესი მოვალეობაა, მთელი თავისი შრომა და ენერგია უფლებრივი და კანონიერ წესწყობილების განმტკიცებას მოახმაროს (ტაში). სათათბიროს წევრნო! თქვენს ერთსულოვანს მუშაობას, რომელიც დამყარებული უნდა იყოს ერთურთის ნდობასა და სხვის აზრის პატივისცემაზე, ღირსეულად დააფასებს ქვეყანა; თქვენი თანხმობითი შრომა და მოღვაწეობა, რომელიც მიმართული იქნება ხალხის კეთილდღეობისადმი, რომელიც დაიცავს სახელმწიფო სათათბიროს ღირსებას, უფრო განამტკიცებს ხალხის გულში განუსაზღვრელ ნდობას ხალხის წარმომადგენლებისადმი. (ტაში და „ვაშა“). დამეხმარეთ აგრეთვე თქვენც ამ რთულ მოვალეობის ასრულებაში. ნება მიბოძეთ ამისი მტკიცე რწმენა ვიქონიო და გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ თქვენ ჩემდამი ნდობის გამოთქმისათვის (მხურვალე და განუწყვეტელი ტაში).

**თავ. ვოლკონსკი.** „უკანასკნელად ვასრულებ თავმჯდომარის მოვალეობას და არ შემიძლიან უგულითადესი მადლობა არ გიძღვნათ ყველას,—განურჩევლად პარტიისა, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია,—იმ ნდობისა და კეთილგანწყობილებისა, რაიც ჩემდამი გამოიჩინეთ. 6 წლის განმავლობაში უსათუოდ ბევრ შეცდომას ჩავიდენდი. შესაძლებელია ბევრს უსამართლოდაც ვეპყრობოდი. ამისათვის გთხოვთ შემინდოთ და ურიგოდ არ მომიხსენიოთ“ (მხურვალე და განუწყვეტელი ტაშის ცემა ყველა სკამზე).

**როძიანკომ და ვოლკონსკიმ** ერთმანეთი გადაჰკოცნეს; ამის შემდეგ ვოლკონსკიმ მიატოვა თავმჯდომარის ადგილი და სხდომის დარბაზი. ვოლკონსკი მხურვალე ტაშით გააცილეს.

**პოლოვცევი** ნაციონალისტების სახელით აცხადებს: რადგანაც ნაციონალისტების სამართლიანი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს და არ მისცეს პრეზიდიუმში ორი ადგილი, ამისთვის ნაციონალისტები თავის კანდიდატებს თავმჯდომარის ამხანაგობაზე არ წამოაყენებენ.

თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს **კონოვალოვი.** ამოუვიდა 174 თეთრი კენჭი და 143 შავი. კონოვალოვმა თვისი ადგილი დაიჭირა მის ასვლას თავმჯდომარის ადგილზე ტაშის ცემით მიეგებნენ.

სათათბირომ დაადგინა მეორე ამხანაგის არჩევა სხვა დროსთვის გადასდოს.

ირჩევენ სათათბიროს უფროს მდივანს. რადგანაც სხვა კანდიდატი არ მოიძებნებოდა, კენჭი უყარეს რეევსკის.

კენჭის ყრის შემდეგ გამოირკვა... (ტექსტი დამახინჯებულია)

**თავმჯდომარე:** ლვოვი პირველი უარს აცხადებს თავმჯდომარის ამხანაგობაზე.

შემდეგი სხდომა 19 ნოემბერს მოხდება.

## რედაქციისაგან

დღევანდელ ჩვენს გაზეთში უნდა დაბეჭდილიყო ბ-ნ არ. ჯ—შვილის ფელეტონის გაგრძელება. ვერც ეს ფელეტონი და ვერც შემდეგი განზრახული წერილები, რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ვეღარ დაიბეჭდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **საქართველოს ეგზარხოსის ჩამოსვლა.** გუშინ, 16 ნოემბერს, დილის 9 საათზე, საგანგებო მატარებლით ტფილისს ჩამოვიდა საქართველოს ახალი ეგზარხოსი არქიეპისკოპოსი ალექსი. მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ტფილისს ჩამოვიდა სასულიერო და საერო უწყებათა იმ წარმომადგენელთა თანხლებით, რომელნიც ეგზარხოსის მისაგებებლად ამ სამის დღის წინად ტფილისიდან წავიდნენ. სადგურზე ეგზარხოსს დაუხვდნენ ქალაქების სამღვდელოება ეპისკოპოსების მეთაურობით და საერობო უწყების მრავალი წარმომადგენელი. სადგურიდან სამღვდელოება საჩქაროდ სიონის ტაძრისკენ გაემართა, ხოლო ეგზარხოსი გაემგზავრა ვერის აღმართით გოლოვინის პროსპექტზე და იქიდან სიონის ტაძარში მივიდა. გზაგზა მოსწავლენი და სხვა და სხვა ამქარი იყვნენ ჩამწკრივებულნი. სიონის ტაძარში ეგზარხოსს შემოსილი სამღვდელოება მიეგება. აქ სიტყვით მიმართა ბაქოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა. სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე თვით ეგზარხოსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ის მშვიდობისა და სიყვარულის დამყარებას ეცდება თვის სამწყსოში, რადგან-ც ეს ორი რამ შეადგენს მტკიცე საძირკველს ყოველ სახელმწიფოსას. აქედან ეგზარხოსი და შემოსილი სამღვდელოება ეგზარხოსის კარის ეკლესიაში გაემგზავრა. ამის შემდეგ სასახლეში ეგზარხოსს წარუდგნენ სხვა და სხვა საზოგადოებისა და უწყების წარმომადგენელნი. სიტყვებით მიმართეს: ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა კ. ნ. აბხაზმა, ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ თ-დმა ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა და სხვებმა. შუადღის 12 საათზე ეგზარხოსი სადარბაზოდ იყო მეფის მოადგილესთან, რომელმაც პირველ საათზე აგრეთვე ინახულა ეგზარხოსი თვის სასახლეში.

✦ **ანჩისხატის ტაძარში** ელექტრონის გასაყვანად კნეინამ ა. მ. მელიქოვისამ 100 მან. გადასცა ტაძრის წინამძღვარს დეკანოზს ნ. თალაქვაძეს. მუშაობა ელექტრონის გასაყვანად უკვე დაიწყო.

✦ **ვაზის მყნობის კურსები.** როგორც ვწერდით, მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტმა დაადგინა, კახეთის 49 სოფელში ვაზის მყნობის კურსები მოაწყოს. კომიტეტი კურსების მოსაწყობად თადარიგს უკვე შეუდგა; შეიძინა საჭირო იარაღი მანქანები და შესაფერი განკარგულება მისცა თვის ინსტრუქტორებს.

✦ **ქუთაისის გუბერნატორად,** როგორც საბოლოოდ გამოირკვა, ტფ. პოლიცმეისტერი გენერალი ზასიპკინი ინიშნება, რომელიც ქუთაისის გუბერნიის მართვას ამ ერთ თვეში შეუდგება.

✦ **„ტფილისის კრუჟოკის“** შენობა ამ დღეებში სასანიტარო კომისიამ დაათვალიერა. შენობის რამდენიმე ოთახი ნესტიანი აღმოჩნდა. საშინელ უსუფთაო მდგომარეობაში აღმოჩნდა აგრეთვე სამზარეულო.

**ქალაქის სასანიტარო კომისიამ** გუშინ დილით სალდათის ბაზარში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი დაათვალიერა და ბევრგან სასანიტარო წესების დარღვევა აღმოაჩინა.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულომ** 15 ნოემბერს სამხედრო სამსახურში ექვსი ახალგაზრდა ჩარიცხა. კიდევ მისაღებია 79 კაცი.

✦ გაზ. „კავკაზის“ თანამშრომლისა გ. პავლოვისა და ქალაქის მოწისმზომლის ვ. მელიქ-ალაჰვერდოვის საქმის ანგარიშში შეცდომით იყო ნათქვამი, თითქოს პავლოვს ეთქვას, „ფაქტი ფაქტად“ რჩებაო. მელიქ ალაჰვერდოვმა გვიჩვენა სასამართლოს სხდომის ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ პავლოვმა მელიქ-ალაჰვერდოვის წინაშე ბოდიში მოიხადა. გარდა ამისა მელიქ-ალაჰვერდოვი კალაქის გამგეობას თანამდებობიდან არ გადაუყენებია, თუმცა ამ ჟამად ამ საქმის გამო გამოძიება სწარმოებს.

✦ ქ.-შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამ გუშინ „ხარბინის ქართული საზოგადოებისაგან“ შემდეგი წერილი მიიღო: „გიგზავნით 1913 წ. პირველი ნახევრის ხვედრ საწევრო ფულს ხუთს თუმანს და გთხოვთ კვიტანცია გამოგვიგზავნოთ“. ქართველი საზოგადოების გამგეობა.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განათლების“ ნოემბრის ნომერი. ამ ნომერში დაბეჭდილია წერილები: თავ. რ. ერისთავის შემოქმედება—ივ. ვართაგავასი, ასურული წარწერები ქართული ტომების შესახებ—ა. სვანიძე, საზოგადოებრივი აზრები მეXIX საუკუნის სიტყვა-კაზმულ მწერლობაში—ს. დადიანი, სუსტ-ნერვებიანი ბავშვები და მათი აღზრდა—ი. ფერაძე, ჰერბარტ ჰაუპტმანი „მიხეილ კრამერი“ ოთხ მოქმედებიანი დრამა მოქმედება მესამე (თარგმანი)—ივ. გომელაური, ჩიტთა ფაფობა—ვაჟა-ფშაველა, გვცივა... გვცივა...—დ. თურდოსპირელი, ღუღუნებს წყალი—გულ-გატეხილი, შინაური მიმოხილვა—ვოსტორგოვის პროგრამა ი. ნ—ძირელი, მწვავე საკითხი—ფარი, რუსის საეკლესიო მთავრობის წარმომადგენლები საქართველოში—ნ. დურნოვო, რუსეთი—საბავშვო წიგნების გამოფენა კიევში—დ. თ—ლი, მოწერილი ამბები—ცოტა რამ აჭარის სკოლებზე—ქიმილ ეფენდი, ნეკროლოგი—სახალხო მასწავლებელი † ვასილ საჩინოს ძე ბარათაშვილი—ლადო ბზვანელი და სხვა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრება** დაიწყება დღეს, დილის 10 საათზე, სახალხო სახლში. გუშინ კავკასიის სხვა და სხვა ქალაქიდან მრავალი წარმომადგენელი ჩამოვიდა კრებაში მონაწილეობის მისაღებად.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათს, 18 ნოემბერს, აღარ მოხდება, რადგანაც ამ დღეს კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრების გაგრძელება იქნება.

✦ **ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოების** საბჭომ თვის მორიგ კრებაზე თავჯდომარის ქ-ნ გაბდევილის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ მოღვაწის ა. ფურცელაძის ხსოვნას. შემდეგ დაადგინა: 1) 1914 წლის 14 იანვარს გადაიხადოს წმ. ნინოს დღესასწაული და ეს დღე სატრადიციო დღესასწაულად გადაიქციოს და 2) გამართოს ამ საღამომდე ერთი ფასიანი ლექცია სახალხო სახლში. დასასრულ საბჭომ წაიკითხა ალმანახისთვის მიღებული მასალა.

## ქუთაისი.

✦ „მერცხლის“ რედაქციას დეპუტატ **კ. ჩხეიძისაგან** შემდეგი დეპეშა მიუღია: თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებას განზრახვა აქვს დახმარება აღმოუჩინოს წლევანდელი მოუსავლობით დამშეულ გლეხებს. საჭიროა დაუსახელოთ ისეთი დაწესებულება ან კერძო პირი, რომლის საშუალებით საზოგადოებას შეეძლება თავისი სურვილი განახორციელოს.

✦ მეფის მოადგილეს შავი-ქვის მორიგ მე-16 კრებაზე წარმომადგენლად დაუნიშნავს **თ. მაჩაბელი**.

✦ რუსეთის იალქნიანი გემებით ოქტომბერში ბათომიდან საზღვარგარეთ გაიზიდა 4 ათასი ფუთი ნავთი და 1335 ფუთი სხვადასხვა საქონელი. ოსმალეთში გაიტანეს 42,705 ფუთი ნავთი და 6270 ფუთი სხვადასხვა საქონელი.

✦ ანაკლიიდან გასული იალქნიანი გემი, რომელიც დატვირთული იყო ხე-ტყით, 8 ნოემბერს ზღვამ იმსხვერპლა. დამსხვრეული გემი ზღვას ქობულეთის მახლობლად გაურიყავს.

✦ გუშინ წინ დილით ა. ი. ს ნახევარზე ტეხნიკ. წულუკიძემ თავის საწოლ ოთახში **თავი ჩამოიხრჩო**.

✦ სათათბიროს სოც. დემოკრატიული ფრაქცია დეპეშით შეეკითხა კავკასიის **მეფის მოადგილეს**, მოეხსენება თუ არა მას, რომ ბაქოს საპატიმროში შიმშილით გაფიცული პოლიტიკური ტუსაღები დაახაწილეს კარცერებში და მოუსპეს სასმელი წყალიო.

# დღიური

კიდევ პიროვნება.

— არა, განაგრძო ჩემმა მოსაუბრემ: მე არ ვემხრობი სოციალისტურს მოძღვრებას, არ ვემხრობი უველაზე უწინარეს იმიტომ, რომ არ მინდა რაიმე პარტიულობით შევზღუდო ჩემი მსოფლ-მხედველობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წინააღმდეგი ვიყო ახალის აზრების. მე მინდა მხოლოდ მივაქციო ყურადღება ერთს წინააღმდეგობას, რომელსაც აუცილებელ შეხიშნავს ჩვენს სოციალისტებში ყოველი დაკვირვებული ადამიანი.

— ეგ გასაკვირველი არაა; მთელი ცხოვრება სავსეა წინააღმდეგობით და სოციალისტები ხომ ცხოვრების შვილები არიან!

— მცნება ცხოვრება ფართო შინაარსისაა, იგი ერთსა და იმავე დროს აწმყოსაც შეიცავს, წარსულს და მომავალსაც. ზოგის ცხოვრება უფრო წარსულისაკენაა მიდრეკილი, ზოგის მომავალისაკენ, ცხოვრება მხოლოდ აწმყო არასოდეს არ არის. საითკენაა მიქცეული ჩვენებური სოციალისტების ცხოვრება? ჰო, რასაკვირველია, მეტყვიან: მომავლისაკენო! ეს შეცდომაა, რომელიც საგნის სიღრმეში კი არ იჭრება, არამედ მარტო გარეგნობას კმაყოფილდება. ახალი მოძღვრების მიმდევრები აზრებით მომავალს ეკუთვნიან, აგზადებენ ნიადაგს მომავალის სამეფოსათვის, აკვლევენ გზას თავისუფლებისა და სამართლიანობისაკენ, მაგრამ ცხოვრება მათი უმეტეს შემთხვევაში წარსულის ნაშთებით არის გამსჭვალული, მათი გულის ნადები არაა მომავლის გამოხატულება, მათის სულის სიღრმეში სულ სხვაა დამარხული.

— როგორ! განა მათი თავგანწირულობა, გმირობა, სიმტკიცე და ტანჯვანი რწმენისათვის არ ლაპარაკობს ძლიერად, რომ ეს ადამიანები მომავალით ცხოვრობენ?

— კარგად ვხედავ მაგ თავგანწირულობას, ვიცი რამდენი მოწამეც ჰყავს მოძღვრებას, მაგრამ ეს განა ამტკიცებს იმ სულიერს სიწმინდეს, იმ ზნეობრივს გარდაქმნას, რომელიც უთუოდ უნდა გამოიწვიოს სოციალისტურმა მოძღვრებამ? თავისდადება დიდებული საქმეა, მაგრამ რამდენს სხვა მოძღვრებას დაგისახელებთ—ბევრს საძაგ თავას მიმართულებისათვის, რომლისთვის მრავალს დაუდვია თავი მსხვერპლად. გარდა ამისა გმირობა და თავის განწირვა—ეს წამიერი მოვლენაა, გამოწვეული მეტწილად ექსტაზით, არა ჩვეულებრივს გარემოებით, ისეთი მდგომარეობით, როდესაც ადამიანი იცვლება, სხვა არსებად ხდება; ეს დროული ამაღლება დიდი საქმეა, ხოლო საჭიროა, რომ ადამიანი ზნეობრივად მაღალი იყოს და თავის წმინდა მცნებას გულში ატარებდეს მუდამ და ყოველგან, ყოველთვის განუყრელად მასთან იყოს; საჭიროა, რომ ადამიანი გმირი იყოს—ვიხმაროთ ეს სიტყვა, როგორც უკვე საზოგადოდ მიღებული—დღემუდამ, თავის ცხოვრებას ყოველ წუთს და არა მხოლოდ ხანდახან, განსაკუთრებულ შემთხვევებში.

— ეგენი არ არიან სოციალისტები?

— არა. ჰქადაგებენ ახლანდელი სოციალურ-ეკონომიურ წესწყობილების შეცვლას და არ გაითვალისწინებენ იმას, რომ ამ შეცვლისათვის აუცილებელია ზნეობრივი გარდაქმნა საზოგადოებისა და უპირველესად იმათი, რომელნიც ახალს მოძღვრებას ემსახურებიან დღეს. სოციალიზმი მოითხოვს მაღალი თვისების ზნეობას, ესაა მისი არსება. მართალია იგი ამავე დროს მეცნიერებაცაა, მაგრამ ამას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს. როგორც ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია აღმოცენდა განსაზღვრულ ზნეობრივ ნიადაგზე, ამგვარადვე სოციალისტური პოლიტიკური ეკონომია მოითხოვს სხვა ზნეობრივს თვალსაზრისს.

ზნეობრივი საფუძველი არსებითი ნაწილია ახალი მოძრაობის. ეს არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ. ამ მოძღვრების გამარჯვება სრულებით არ მოასწავებს მექანიკურად საზოგადოებრივის, სოციალური წეს-წყობილების გამოცვლას. თუ სოციალისტურს აზრს უნდა სერიოზულად შეიჭრას ცხოვრებაში და გარდაქმნას იგი, ხელში უნდა აიღოს დროშა იდეალების, ჩვენი ყოველ-დღიური ცხოვრების, ჩვენი არსებობის ყოველი წუთის გარდაქმნისა. ის უნდა ნიშნავდეს ადამიანის ღირსების და პიროვნების უფრო მაღალს შემეცნებას, მისი ზეგავლენით ისე უნდა გარდაიქმნეს ჩვენი ზნეობრივი შეხედულებანი, რომ ყოველს ჩვენგანს საზიზღრობად, ბუნების წინააღმდეგობად უნდა მიაჩნდეს სხვისი ნაოფლარის მითვისება, სხვისი ღირსების დამცირება, სხვისი პიროვნების ოდნავი შეურაცხყოფა, რომ ყოველი გამსჭვალული იყოს ერთმანეთის პატივისცემით, სიყვარულით, შებრალებით, რომ სიმართლე, პირდაპირობა ისევ საჭირო იყოს ჩვენის სიცოცხლისათვის, როგორც ჰაერი, წყალი, პურია.

— ამას ვერ ხედავთ მოძღვრების მიმდევართა ცხოვრებაში? ამას უწოდებთ წინააღმდეგობას?

— დიახ, ამას ვუწოდებ და გული ძალზე მტკივა ამისათვის. არ არის შეგნება მოძღვრების არსებისა, არავინ მიწვდა მის სინამდვილეს, არავინ ააგო თავისი ცხოვრება ამ ახალს საძირკველზე. რატომ არ არის ჩვენში ის ღრმა პატივისცემა ადამიანისადმი, რომელიც თითქოს უნდა იყოს, რომელსაც თითქოს გვასწავლიან?

— ეს იმას ამტკიცებს მხოლოდ, ზნეობის გარდაქმნა ადვილი საქმე არაა: საჭიროა დრო, მუშაობა.

— გეთანხმებით, მაგრამ ხომ უნდა იყოს მაინც შეგნება არ არსებობისა, შეგნება და ტანჯული განცდა, წუხილი იმისთვის, რომ დიდი მაღალი ღირსება გვაკლია? ჩვენში სწორედ ეს არ არის! და არა თუ არ გვაწუხებს ამის უქონლობა, არა თუ არ გვაწუხებს უმისობა, პირიქით ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველაფერი თავის ალაგასაა, ჩვენ უნაკლონი ვართ და ვკმაყოფილდებით გარეგნულად მოვალეობის შესრულებას, გარეგნულად ვემსახურებით ჩვენს რწმენებს. მეტად საგულისხმიერო ამბავია, რომელიც მოითხოვს სერიოზულს დაკვირვებას. სანამ ეს საკითხი არ გადაწყდება ჯეროვანად, სანამ ალვზრდით ჩვენს არსებაში ადამიანის პიროვნებისადმი უსაზღვრო პატივისცემას, მანამდის უძლური იქნება ყოველგვარი კულტურული მუშაობა. ვისი საქმეა ეს? ვინ უნდა იზრუნოს ამისათვის? ვისი გონება უნდა იქნეს მიქცეული ამისკენ!..

ხიტუვა.

# ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია

ამ ჟამად რუსეთში სათადარიგო მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს პატრიარქობის აღდგენის გამო. უეჭველია, ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხიც რუსეთის საეკლესიო რეფორმასთან ერთად გადასწყდება. უკუეთუ ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებულია, მისი აღდგენა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საეკლესიო კრების დადგენილებით, რომლის მოწვევაც, იმ ეკლესიის თანხმობით შეიძლება, რომელსაც ივერიის ეკლესია შეუერდა. ხოლო, თუ ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებული არ არის, მაშინ ხომ მის აღდგენაზე ლაპარაკიც მეტია. ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მცხეთა-ივერიის საკათალიკოსო კათედრის დროებით ქვრივობაზე, როგორც ვლაპარაკობთ ხოლმე მოსკოვის საპატრიარქო კათედრის ქვრივობაზე. სანამ მსოფლიო საეკლესიო კრება არ მოხდება, მანამდე უწმინდეს კანონებისა არც გაუქმება შეიძლება და არც შეცვლა. როგორც სახელმწიფო თვის კანონებს ემყარება, ისევე საეკლესიო მართვა-გამგეობა ემყარება უწმინდეს კანონებს.

ძველად არა ერთი და ორი ავტოკეფალიური ეკლესია არსებობდა, რომელთაგანაც ზოგი მოისპო ქრისტიანობის გაქრობის დროს, მაგალითად, კართაგენისა; ზოგნი მაჰმადიანთა ბატონობისაგან, დევნილ-შევიწროვებულნი, იძულებულნი იყვნენ, მსოფლიო პატრიარქისათვის მიემართათ, რათა კონსტანტინეპოლის პატრიარქს თავის მფარველ კალთის ქვეშ შეეფარებინა, მაგალითად, ტირნოვოსი ანუ ბულგარეთისა, პეჩისა ანუ სერბიისა და ოხრიდისა, რომლის დასაბამიც პირველ იუსტინიანისაგან მოსდევს.

ეს სამივე ავტოკეფალიური ეკლესიები კონსტანტინეპოლისა საპატრიარქო კათედრას შეუერთდნენ თავ-თავიანთ იერარქთა კრების დადგენილების თანახმად, და არა კონსტანტინეპოლის პატრიარქისა და ოსმალეთის მთავრობის სურვილის გამო. არც რუსეთის ეკლესიას და არც საბერძნეთისას ქართველ სამღვდელოების კრებულს ხმა არა ჰსმენია ქართლ-კახეთსა და იმერეთის საკათალიკოსოების რუსეთის ეკლესიასთან შეერთების გამო.

ბიზანტიის იმპერატორები ეკლესიის ავტოკეფალიებს ისე უცქეროდნენ, როგორც მართლ-მადიდებელ ეკლესიისა და ქრისტიანობის გამარჯვებას. რაც მეტი იყო ავტოკეფალიური ეკლესიები, მით უფრო ჰყვაოდა ქრისტიანობა. სარაცინების (არაბების) შემოსევამდე მცირე აზიაში, ეგვიპტეში, ჩრდილო-აფრიკაში და სირიაში—მართლ-მადიდებელ ეკლესიებში 1500 წმინდა კათედრა ითვლებოდა, მაშინ, როდესაც ეხლა მხოლოდ 380-მდე ითვლება.

მოსკოვის პატრიარქის ადრიანის გარდაცვალების შემდეგ (1 ოქტომბერი, 1701 წელი) მოსკოვის საპატრიარქო კათედრა დაქვრივდა. 1721 წელს იმპერატორმა პეტრე I თავის სის უფლებით დააწესა სასულიერო კოლეგიუმი, რომელსაც დაარქვა: „უმართებულესი სინოდი“ და აკუთვნა ხარისხი „უწმინდესისა“. მას შეადგენდა პრეზიდენტი—რიაზანის მიტროპოლიტი სტეფანე იავორსკი, ორი არხიეპისკოპოსი, ოთხი სოვეტნიკი და ოთხი ასესორი პრესვიტერის ხარისხით. ასეთი კოლეგიუმი, რომელშიაც უმეტესობას სამღვდელო პირი შეადგენდა, მართლმადიდებელ საკრებულოს კი არა პრესვიტთა კოლეგიუმს უფრო ემსგავსებოდა. ადვილი გასაგებია, რომ ასეთი სასულიერო კოლეგიუმი მსოფლიო ეკლესიის მხრივ, დადასტურებას ვერ მიიღებდა იმგვარად, როგორც მაგალითად დამტკიცდა მოსკოვის საპატრიარქო. ღრამატებიც ორის პატრიარქისა: კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიისა, უმართებულესი სინოდის თაობაზე, არ ამოწმებენ, ვითომც უმართებულესი სინოდი აღიარებული ყოფილიყოს კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის უწმინდესი სინოდების მხრივ, რომელთა დაუკითხავად და დაუდასტურებლად პატრიარქების პირადულს დადგენილებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენი ეკლესიის რეფორმატორისა და რეორგანიზატორის პეტრე პირველის გარდაცვალების შემდეგ, უმართებულესი სინოდი შესამჩნევად გადაჭკეთს. ეპისკოპოსები სჭარბობდნენ პრესვიტერის ხარისხიან სასულიერო პირთ, თუმცა იყო დრო (1738 წელს) როდესაც მთელი „უმართებულესი“ შესდგებოდა ერთ ეპისკოპოსისაგან—ვოლოგდის ეპისკოპოსი ამბროსი—და სამის არქიმანდრიტისაგან.

ამ ჟამად „უმართებულესი“ სინოდი, რომლის შემადგენლობასაც უმაღლესი მთავრობა ირჩევს, შესდგება სინოდის წევრებისაგან, რომელსაც სინოდის ობერ-პროკურორის წარდგენის შემდეგ იგივე მთავრობა ამტკიცებს, და სამი-ოთხი ეპისკოპოსისაგან, რომელსაც ობერ-პროკურორისავე ამორჩევით დროებით მიიწვევენ ხოლმე სასულიერო კოლეგიუმში.

ადვილი გასაგებია, რომ „უმართებულეს“ სასულიერო კოლეგიუმს, რომელსაც შეუფერებლად ეწოდება „უწმინდესი სინოდი“ რომელიმე ეკლესიას ვერ წაართმევს და ვერც მიანიჭებს ავტოკეფალიას, რადგანაც ეს მის უფლებათა ფარგალში არ შედის. ყველა ეს დიდი ხანია შეგნებული აქვს ყველა საეკლესიო კანონისტს და წმ. ეკლესიის მოღვაწეთ და თვითონ კეთილმორწმუნე ხელმწიფეს, რომელმაც 1906 წლის, 14 სექტემბერს უმაღლესად ბრძანა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებამ მსჯელობა იქონიოს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ; ეს კრება 1913 წელს უნდა მოხდეს, თუ მახლობელ აღმოსავლეთის ამბებმა არ მიიქციეს რუსეთის ყურადღება და არ აიძულეს ამოიღოს ხმალი მართლმადიდებელ მოძმეთა დასაცავად.

ივერიის ავტოკეფალიის შესახებ მსჯელობა შეუძლიან, რასაკვირველია, არამც რუსეთის ეკლესიის ადგილობრივ კრებას, არამედ კონსტანტინეპოლის დიდ საქრისტიანო ეკლესიასა და სინოდსაც. მაგრამ არც იმასა და არც სხვა კრებას არა აქვს უფლება წაართვას რომელიმე ეკლესიას ერთხელ მინიჭებული და მსოფლიო ეკლესიის მიერ აღიარებული საეკლესიო ავტოკეფალია; ამიტომაც მოსკოვის მომავალ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებაზე ლაპარაკი იქნება არა ავტოკეფალიის მინიჭებაზე ივერიის ეკლესიისათვის, რომელიც მისთვის არავის არ წაურთმევია, არამედ იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება უნდა იქონიოს ივერიის ეკლესიამ მოსკოვის მომავალ პატრიარქისა და მასთან არსებულ სინოდთან, რაც აღნიშნულია მეფე ირაკლი მეორისა და დედოფალ ეკატერინე მე-II შორის ხელშეკრულობის მერვე არტიკულში. საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვა აი ამ დამოკიდებულებაზე ვთქვათ.

მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც თავის ერთად-ერთ უფროსად არქიელს აღიარებს ჩვენს ზენაარს მეუფესა და ღმერთს, რამდენიმე ავტოკეფალიურ ეკლესიად არის გაყოფილი, რათა უკეთ იღწოდეს სჯულისა, სიკეთისა და ზნეობისათვის. ისეთს სიმაღლეზე არსად არა სდგას ქრისტიანობა როგორც გახრწნილ ოსმალეთში, რადგან იქ დიდი რიცხვია „არქიპასტირებისა“, რომელთაც სამწყსოზე დიდი ზნეობრივი გავლენა აქვთ. საქართველოში დაცემა უნდა მივაწეროთ ეპისკოპოსების სიმცირეს, რომელთაც შეძლება არა აქვთ თავისი სამწყსო ყოველ წლივ დაათვალიერონ, შეისწავლონ იგი ისე, როგორც თავის სამწყსოს ბერძენთა ეპისკოპოსები იცნობენ; მეორე საკითხი, რომელიც უნდა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებამ მოსკოვში უნდა განიხილოს საქართველოს საკათალიკოსოში მყოფ რუსების ეკლესიების საკითხია. ეროვნულ საკითხის გამწვავების გავლენით დაირღვა ის კეთილგანწყობილება, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში რუსებსა და ქართველებს შორის სუფევდა. თუმცა რუსის ხალხის საუკეთესო და კეთილშობილ ნაწილს არ შეუცვლია თავისი განწყობილება სახელოვან ქართველ ხალხისადმი. რუსების სამრევლო ეკლესიებისა და მრევლის ცალკე ეპარქიად გამოყოფა შეუძლებელია, რადგან ისინი ქართულ ეკლესიებ შორის იმყოფება. ამ გვარად ისინი რუსის ცალკე ეპისკოპოსს უნდა დაექვემდებარონ, თუნდაც არქიეპისკოპოსის ხარისხით, რომელსაც რუსის საეკლესიო მმართველობა განაწესებს, ივერიის კათალიკოსის თანხმობით; ასე იქცეოდნენ ანტიოქიის პატრიარქები, შემდეგ კი კონსტანტინეპოლისა, საქართველოში ახალის არქიეპისკოპოსი—მიტროპოლიტის დანიშვნის დროს. რუსის ეპისკოპოსი კანონიური მხრით, რასაკვირველია, კათალიკოსს უნდა დაექვემდებაროს, რომლისაგანაც იგი მიიღებს ღვთის მსახურთა დანიშვნისა, მათი დათხოვნისა და გადაყვან-გადმოყვანის უფლებას. რუსის ეპისკოპოსსავე მიენიჭება სამხედრო სამღვდელოების თვალ-ყურის დევნა.

მესამე საკითხი, რომელსაც შეიძლება შეეხოს შეუძლიან მოსკოვის კრება—იმერეთის ეკლესიის საკითხია: იგი ივერიის ეკლესიასთან იყოს შეერთებული, თუ მისგან გამოცალკევდეს.

მოსკოვის კრებას უფლება არ აქვს იმერეთის ეკლესია ივერიისას შეუერთოს. ეს საქმე ექვემდებარება ივერიისა და იმერეთის ეკლესიების იერარქების კრებას და თუ ასეთები არ მოიპოვება კლირისა და ხალხის წარმომადგენელთა კრებას. როგორც ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია არ იყო გაუქმებული, იმგვარადვე არ გაუქმებულა იმერეთ-აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიაც, 1796 წელს კათოლიკოსის მაქსიმე ნიჟარაძის გარდაცვალების შემდეგ.

ივერიისა და იმერეთის ეკლესიების ქონებრივი მდგომარეობა, საქართველოს ეკლესიების კუთვნილ მამულების ჩამორთმევის შემდეგ ისეთ სატირელ მდგომარეობაშია, რომ ავტოკეფალიის მეოხებით მის აყვავებაზე ოცნებაც კი არ შეიძლება. ავტოკეფალია მხოლოდ ეპისკოპოზებს ხალხთან დაახლოვებს, აღამაღლებს სარწმუნოებას, ზნეობრივობას და კეთილმორწმუნეობას. ნივთიერ კეთილდღეობას კი ეკლესია ასე მალე ვერ მოეწევა. ადვილია რწმენის დაკარგვა, მხოლოდ ძნელია მისი კვლავ აღდგენა, თუმცა განსვენებული ექსარხოსი საქართველოსა არქიეპისკოპოსი ნიკონი ჰფიქრობდა, რომ ავტოკეფალია აღამაღლებს ივერიის ეკლესიის კეთილდღეობას და ხალხში რწმენას განავითარებსო.

როგორ უნდა მოეწყოს ივერია-იმერეთის ეკლესიის საქმე?

ჩვენის აზრით ორივე ეკლესიის ავტოკეფალიები ძალაში უნდა დარჩეს, თუმცა ორივე ეკლესია გაერთიანებულიც უნდა იყოს ივერიის კათალიკოსის თავმჯდომარეობით წელიწადში ორჯერ მოწვეულ კრებით; კრებული მოხდება შემოდგომით მცხეთაში, ხოლო გაზაფხულობით—ქუთაისში. გარდა ამისა კრებები მოხდება კათოლიკოსისა და ეპისკოპოსების ამორჩევისას, რომელთა არჩევნებსაც უმაღლესი მთავრობა ამტკიცებს.

რადგანაც უმთავრესი უფლებანი ეკლესიისა ეპისკოპოსების კრებას მიენიჭება არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ ივერიისა და იმერეთის კათოლიკოსებთან არსებობდეს მუდმივი სინოდები. ისინი უნდა შეიცვალოს ორი საეკლესიო დაწესებულებით: საადმინისტრაციოთი საეპარქიო სამმართველოს სახელით, და სასამართლოთი, საეკლესიო საოლქო სასამართლოს სახელით. საეპარქიო გამგეობა შესდგება ყოველ საეპარქიო კათედრასთან ოთხი კაცისაგან ტფილისში და ქუთაისში და სამისაგან—ეპისკოპოზებს კათედრასთან. ამათში უნდა იყოს: 1 არქიმანდრიტი, კათედრალური დეკანოზი (ტფილისში კი საპატრიარქო მცხეთის საკრებულო ტაძრის დეკანოზიც) და არქიეპისკოპოსის ეკონომი. საოლქო-საეკლესიო სასამართლო კათალიკოსის მოადგილის (კათოლიკოსის ვიკარი) თავმჯდომარეობით შესდგება. ყოველი ეპარქიის წარმომადგენლებისაგან, რომელსაც სასულიერო კლირი ირჩევს, და რომელსაც არქიეპისკოპოსი ამტკიცებს, თუ დაინახავს, რომ შეიძლება არჩეული სამღვდელო პირი მოსამართლის თანამდებობის ღირსად ჩასთვალოს. საეკლესიო საოლქო სასამართლოს განაჩენი და დადგენილებანი უნდა დაამტკიცოს საეპარქიო არქიელმა ან და შესცვალოს იგი, თუ ეპისკოპოსმა დაინახა, რომ სასამართლოს განაჩენი სწორი არ არის. ეპისკოპოსის განაჩენის განსაჩივრება მხოლოდ ადგილობრივ საკრებულოში შეიძლება.

ნ. დურნოვო.

(დასასრული იქნება)

# ჩვენი მუშები სპარსეთში

ილაჯ-გამოლეულ მუშას დღეს ბევრი დამცველი ჰყავს. ბევრს სწერენ, ლაპარაკობენ, ბჭობენ მუშაზე მაგრამ ამ მფარველთა უმეტესი ნაწილი, როდესაც თავის ბედს და მდგომარეობას გაიუმჯობესებს—მუშაზე კრინტსაც აღ არ იღებს.

მე მოგახსენებთ იმ ჩვენი მუშების მდგომარეობაზე, რომელნიც დღეს არიან სპარსეთში, „რუსეთ-სპარსეთის ტყის მრეწველთა ამხანაგობის“ ტყეებში.

სპარსეთის უკანასკნელმა მოძრაობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მემამულე ხანებს მდგომარეობა შეურყია: ბევრს მათგანს აბობოქრებულმა ხალხმა სასახლეები დაუნგრია, ბევრიც დახოცა, რის გამო ხანებმა დასტოვეს თავიანთი მამულ[illegible] საცხოვრებლად დიდს ქალაქებს მიაშურეს. დარჩა ძვირფასი ტყე, მინდორი, სახნავი მიწები და ხალხმა იწყო თავისუფლად ხმარება მამულისა. მაგრამ გაჩნდნენ ზოგიერთი „კაპიტალისტები“ და მიმართეს ხანებს შემდეგი წინადადებით: „თქვენი მამულები იჯარით მოგვეცით; თქვენც ის რგებლეთ და ჩვენც გვერგება ცოტა რამეო“. ხანები დიდის სიხარულით მიეგებნენ ამ წინადადებას და შესდგა პაიებზე დამყარებული ამხანაგობა. დირექტორად დაინიშნა ა. ხოშტარია. ამხანაგობამ იჯარით აიღო თითქმის ორასი დესეტინა ტყე-მინდორი ჩალის ფასად. იჯარით აღებულს მამულებში რამოდენიმე ათასი სპარსელი სახლობს, რომელთაც ამხანაგობამ ლალა მოსთხოვა და შარშან ორასი ათასი ფუთი ბრინჯი აკრიფა, ხოლო ტყეში დაიწყო მუხის სახოჭკო მასალის და შპალების დამზადება. ტყის მუშაობას სპარსელები ჩვეულნი არ არიან. საჭირო იყო ქართველების გაყვანა მუშებად. ამხანაგობამ თავისით ვერ მოაწყო ეს საქმე და სამუშაოს იჯარით გაცემა დაიწყო. მოიჯარადრებიც ბლომად გაჩნდა, რადგანაც ამხანაგობა მათ წინდაწინ „ავანსებს“ აძლევდა. მოიჯარადრეებმა ამხანაგობას ფული გამოართვეს და ჩამოვიდნენ მუშების წასაყვანად, მათ გამოუცხადეს სოფლელებს, წამოდით და დღიური ქირით 3—4 მანეთს მოგცემთო. რა თქმა უნდა, რომ ასეთმა ქირამ ხალხი დაახარბა და დღეს იქ მეგრელები, რაჭველები, ლეჩხუმელები თითქმის ხუთას კაცამდის გაემგზავრა.

ამ რიგად დაიწყო მოქმედება საზოგადოებამ. თუ რა მდგომარეობაში ჩაცვივდნენ აქედან გაყვანილი მუშები—მოგახსენებთ. მოგახსენებთ მას, რაც ჩემის თვალით ვნახე და რაც სრული სინამდვილე და ჭეშმარიტებაა.

მოიჯარადრეებმა მუშები თავისი ხარჯით წაიყვანეს იმ პირობით, რომ დახარჯული ფული უნდა გამოუქვითონ ნამუშევარი ფულიდან. როდესაც მუშები სპარსეთში ჩავიდნენ, მოიჯარადრეებმა მათ პასპორტები ჩამოართვეს, წაიყვანეს ტყეში და უთხრეს: „ჩვენ დღიური ქირას ვერ მოგცემთ, ხარდად იმუშავეთ“. ამავე დროს ისეთი ფასები გადაუწყვიტეს მასალის დამზადებისათვის, რომ რაც უნდა პატიოსანი და ნაკურთხი მარჯვენის პატრონი მუშა ავიღოთ, დღიურად ათი შაური ან სამი აბაზის მეტს ვერ აიღებს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ მუშებისთვის არავითარი ბინები არ არსებობს, გარდა სახელდახელოდ გაკეთებული ფაცხებისა. არც ექიმი, არც წამალი არ მოიპოვება. სასმელ-საჭმელიც არა აქვთ დათუ რამეს იშოვნიან, ისიც მამა სისხლად. თვით მოიჯარადრეებს მუშებისთვის დუქნები აქვთ გაღებული. ისინი ხორცს გირვანქას 6 კაპიკად ყიდულობენ, პურს 4 კაპიკზე მეტი არ უჯდებათ, თუთუნს გირვანქას ორ აბაზათ შოულობენ; ლობიოს ფუთს — ოთხი აბაზად და ამავე დროს მუშებს აძლევენებენ ხორცში გირვანქაზე 16 კაპიკს, პურში—7 კაპ., თუთუნში—მანეთს და ლობიოში ფუთში—4 მანეთს. ცხადია, მუშებიც ძალაუნებურათ ურიგდებიან ასეთს მდგომარეობას, რადგანაც სხვაგან სურსათს ვერ იშოვიან და სიმშილი მწარეა. როგორც ვხედავთ, მუშის დღიური ნამუშევარი საჭმლის ფასს ძლივს ასწორებს და თუ ვინმე მოიწადინებს შინ დაბრუნებას—მიზანს ვერ აღწევს, რადგანაც ვალი გასტუმრებული არ აქვს და წამოსასვლელი ფულიც არ მოეძებნება. ამრიგად მწარეთ მოტყუებული რამდენიმე ასი მუშაა დღეს სპარსეთში!

ა) მოიჯარადრე ციციანოვს ყველა მუშები აუჯანყდნენ, რადგანაც თავის დროზე ხელფასი გროში ვერ მიიღეს და სამშობლოში ფეხით წასვლა დააპირეს, მაგრამ მათი პასპორტები მოიჯარადრეს ჰქონდა და ძალაუნებურად უკან დაბრუნდნენ.

ბ) მოიჯარადრე ალექსანდრე შავდიას აუჯანყდა 60 მუშა. ისინი ასი ვერსის მანძილიდან ფეხით ჩამოვიდნენ ამხანაგობის კანტორაში. დირექტორმა მათ ხელ-ფასი მისცა და ათი კაცი მაინც დაბრუნდა შინ.

გ) თორმეტი მუშა რაჭველი ხმელეთით ფეხით ჩამოვიდნენ ბაქოში, აქ გაყიდეს შინიდან წამოღებული სამუშაო იარაღები და ისე დაბრუნდნენ შინ.

დ) მოიჯარადრე შენგელიასთან მუშაობდა ხუთი რაჭველი. ორი მათგანი ციებით ავად გახდა, ხოლო სამი მუშაობდა და ამ სამი კაცის ორი თვის ნამუშევარმა ხუთიევსი საჭმლის ფასი ძლივს გაასწორა. მათ ჩემს თვალწინ გაყიდეს ნაჯახები და ხერხები და ისე წამოვიდნენ რაჭაში.

ე) მოიჯარადრე იოსებ ნიჟარაძემ მუშათ წაიყვანა რაჭველი ვარლამ ქელმოკლიძე, რომელიც ტყეში ავად გახდა. ავადმყოფმა შინ წასვლა ითხოვა, მაგრამ მოიჯარადრემ პასპორ-

ტი არ მისცა, რადგანაც იქეთ წასაყვანი ვალი გასწორებული არა ჰქონდა. ქელმოკლიძემ რუსის ელჩს მიჰმართა თხოვნით. ელჩმა ხელმეორედ მიგზავნა მოიჯარადრესთან, რომელმაც ძლივს დაუთმო პასპორტი. ამხანაგობის კანტორამ მას 3 მანეთ-ნახევარი მისცა და ამ ფულით ის ბაქოში ამოვიდა. ხოლო ბაქოდან როდის მიაღწევს თავის სახლს—ღმერთმა იცის.

3) ასეთივე მდგომარეობა განიცადეს რაჭის მცხოვრებლებმა ოქრუა ნოდარიშვილმა და თედო შეარაზადიშვილმა.

აი რა მდგომარეობას განიცდიან უბედური ჩვენი მუშები სპარსეთში და ამავე დროს ამხანაგობის კანტორაში კი მსახურებენ ვითომცა „მუშების ინტერესების დამცველნი", მაგრამ მათ ასეთ უკანონობის წინაამდეგ კრინტიც არ დაუძრავთ. და არც საკვირველია, რადგანაც ისინი დღეს უკვე ბედით კმაყოფილნი არიან და მუშისათვის თავის შეწუხება მათთვის ზედ-მეტი ბარგია.

**გ. ა—ნი.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**16 ნოემბერი.**

**უ ც ხ ო ე თ ი.**

**თეირანი.** კაბინეთი სრულიად უმოქმედებს, რადგანაც მინისტრებს ერთი-ერთმანეთისადმი ნდობა არა აქვთ. ამის გამო ყოველ-დღე რეგენტის თავმჯდომარეობით კრებები ხდება. ამაოდ მოუწოდებს რეგენტი მინისტრებს ნაყოფიერ მუშაობისადმი.

**რომი.** დეპუტატთა პალატის სხდომები დაიწყო. პალატა პრეზიდენტის არჩევნებს შეუდგა.

**ბუქარესტი.** დაიწყო პარლამენტის სესია. მეფემ სიტყვა წარმოსთქვა, აღნიშნა რუმინის კეთილმწყობილება დიდ სახელმწიფოებთან და ფინანსების მშვენიერი მდგომარეობა.

**რომი.** პრეზიდენტად მთავრობის კანდიდატი მარკორა აირჩიეს

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციის სამხედრო კომისიამ მიიღო სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.

**ვენა.** ფერდინანდ მეფე სოფიას გაემგზავრა.

**მუკდენი.** მონარქისტთა შეთქმულება გამჟღავნდა. შეთქმულებას აზრად ჰქონდათ სამხრეთ მანჯურიაში ამბოხების მოხდენა და მუკდენის დაპყრობა. შეთქმულების მოთავე ნაფიცრალი დააპატიმრეს.

**ბუქარესტი.** მაიორესკუ კონსერვატორთა ლიდერად აირჩიეს.

**ბელგრადი.** სერბია ბულგარეთის საიდუმლო ხელშეკრულების გამოქვეყნებამ პოლიტიკოსთა წრეებზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ოფიციალურად იუწყებიან, რომ ხელშეკრულების გამოქვეყნებაში სერბიას ბრალი არა აქვსო.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციის გარეშე საქმეთა კომისიაში ბერტჰოლდმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა.

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** ინჟენერთა საბჭომ შავი ზღვის ნაპირის რკინის გზის სატეხნიკო პროექტი მოიწონა. გზის გაყვანა ტუაპსიდან დაიწყება და ამიერკავკასიის რკინის გზის სადგურ ქვალონამდე მოვა.

**პეტერბურგი.** სამხედრო-საპატიმროების დროებითი დებულებათა პროექტი გამოაქვეყნეს.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

**НИВА** еженедѣльный иллюстрированный журналъ. ОТКРЫТА ПОДПИСКА НА **1914 г.**
ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:
**52** №№ журнала: романы, повѣсти, разск., картины, рис. въ краскахъ, иллюстраціи соврем. событій.
**52** КНИГИ, отпечатан. убористымъ четкимъ шрифтомъ, въ которыя войдетъ:
40 книгъ „СБОРНИКА НИВЫ", содержащихъ:
ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ въ **27** книгахъ **В. Г. КОРОЛЕНКО.**
ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ въ **8** книгахъ **А. Н. МАЙКОВА.**
ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ въ **5** книгахъ **Эдм. РОСТАНА.**
**12** КНИГЪ ЕЖЕМѢСЯЧНАГО ЖУРНАЛА „ЛИТЕРАТУРНЫЯ и ПОПУЛЯРНО-НАУЧНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ".
**12** №№ „Ежемѣсячныхъ новѣйшихъ модъ".
**12** ЛИСТОВЪ выкроекъ и рисунк. рукодѣльн. работъ.
1 „ОТРЫВНОЙ ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ КАЛЕНДАРЬ" на 1914 г.
**ПОДПИСНАЯ ЦѢНА „НИВЫ"** со всѣми приложеніями на годъ: безъ доставки: въ СПБ.—6 р. 50 к., въ Москвѣ, у Печковской, 7 р. 25 к., въ Одессѣ, „Образованіе", 7 р. 50 к.; съ дост. въ СПБ.—7 р. 50 к., съ пересылкою—во всѣ мѣста Россіи—**8 р.** За границу—12 р.
Разсрочка платежа въ 2, 3 и 4 срока. Иллюстрирован. объявл. о подпискѣ высылается безплатно.
Адресъ: С.-Петербургъ, въ Контору журнала „НИВА", улица Гоголя, № 22.
1038 22328

გონორრეს (სუსუნატის) წინაამდეგ უახლესი საშუალება: „SALO—პიჩილინ".
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებით და ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.
**აგრეთვე კარგად მოქმედებს ძეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.**
დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფოსტით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საათიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების საწყობში.
Метилъ 22328. 1038



პარიზის სუფთა ახალი ფასონები
კორსეტების
ვენის საკუთარი ფაბრიკის სახელოსნოში
ე. ა. ლევინი,
ტფილისი, ვერის ღმართი და ხოლოდის ქუჩის.
1168

# სტუდენტი ფილოლოგი

გამოცდილი რეპეტიტორი—ამზადებს მოწაფეებს საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის.

პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათ. წერილობით მისამართი: პროტის ქ. № 8, ბინა 1, სტუდენტს. 1582

# ექიმ ნავასარდიანის
## პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**
**დ ი ლ ი თ:**
**„606" და „914"**
**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ბეგახარ.ოვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**ქ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
**ზ. ა. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეკტაბეგოვი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
**ქ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. სალამოობით 6—7 საათამდე.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**მ. გ. ბეკტაბეგოვი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—$11^{1}/_{2}$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

1453

# სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

**მუხრანის ქუჩაზე, სადაც წინად „კავკაზ" ნომრები იყო, გაიღო**
# სალხინო ნომრები
შენობა ახლად შეკეთებულია და განათებულია ელექტრონით. ავეჯეული სულ ახალია. ნომერი ღირს: 60 კ.—დან 1 მანეთამდე.
**თვიურებს დიდი შეღავათი.** 1552

# იყიდება
სანადირო ძაღლი დ ლეკვები „სეტერის" ჯიშისა. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 55, ბინა № 3.
812.

# გალოსნოვა
# ძმ. ავსარქისოვებისა,
(ხადგ. ხკრაში, კავკ. რკ. გზა).

ჰგზავნის ხეხილის ნერგებს საზღვ რგარეთულს, რუსულს, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და საწალკოტო (დეკორატიული) ხეებსა და მცენარეებს ხელმისაწვდომ ფასად. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра, (З. Ж. Д.) Авсаркисову. 633




1523

**— გამოსულია და იყიდება —**
**ნ. შიუკაშვილის**
პიესა „**მეგობრობა**", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

მოითხოვეთ ყველგან




მთავარი კანტორა და საწყობი
ტფილისი, ვოკზ. № 2 რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
ტელეფონი № 14/68.
1512




**ცინეოგრაფია** [illegible] კლიშეების დამზადება [illegible]
ტფილისი, ვანის ქუჩა, № 12. Тифлисъ Бол. Ванн. ул. № 13.
1009

# დაიწყო ბეჭდვა და ამ წლის დეკემბრის ოცში გამოვა გასასყიდად ახალი გამოცემა „ვეფხის ტყაოსნისა"

**სარგის კაკაბაძის რედაქტორობით.**

ტექსტი იმ გვარად იქნება დაწყობილი, რომ ნაჩვენები იქნება, თუ როგორ თანდათან საუკუნეების განმავლობაში თოთხმეტ რედაქციის გავლის შემდეგ 1,500 ტაეპოვანი „ვეფხვის ტყაოსანი" გარდაიქცა 2,400 ტაეპოვანად. თოთხმეტი რედაქცია სათითაოდ იქნება ნაჩვენები. წიგნს თან დაერთვის ვრცელი გამოკვლევა, რომელშიაც განხილული იქნება „ვეფხის ტყაოსანი" და მისი რედაქციები, აგრეთვე თუ ვინ იყო და როდის ცხოვრობდა შოთა რუსთველი და რამოდენიმე „ვეფხის ტყაოსნის" უმთავრესი კომენტატორი. ბოლოს დართული ექნება სრული ვარიანტები წერა-კითხვის საზოგადოების ხელთნაწერების მიხედვით და კიდევ უცხო და საკუთარ სიტყვათა ლექსიკონი. წიგნი დასურათებული იქნება, იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირება სამი მანეთი. **ვინც 10 დეკემბრამდის დაიკვეთს და ფულსაც შემოიტანს, მისთვის ეღირება 2 მანეთი. ვინც 10 დეკემბრამდის დაიკვეთს ხალდად არა ნაკლებ ხუთი ცალისა, მას თითო წიგნი დაუჯდება 1 მან. 75 კაპ.** წიგნის დაკვეთა შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში (სასახლის ქუჩაზე) და თვით გამომცემელთან. ტფილისში აგენტობა მინდობილი აქვს სპირიდონ ფიცხელაურს. ტფილისის გარედან ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Высшіе Женскіе Курсы. Сергѣю Нестеровичу Какабадзе. 1593

„გ ა მ ო ც ე მ ა ს ო რ ა პ ნ ი ს ა"
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად დასურათებული
# კედლის კალენდარი 1914 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ
**ფ ა ს ი 40 კ ა პ.**
კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი საღებავით სუფთად და ლამაზად.
# სახალხო კალენდარი 1914 წ.
დ ა ს უ რ ა თ ე ბ უ ლ ი
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ
**— ფ ა ს ი 20 კ ა პ. —**
კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან. ვისაც პარტიით ყიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: ტფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი"
1592.

# მუდამ დღე მოგვდის
## ახალ-ახალი
თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
**აგრეთვე იყიდება მაილოვის**
# ხიზილალა.
კოლოფით ქილკა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, ქიპა, ზურგიელები** და სხვა ყოველნაირი **თევზეულობა და კონსერვები.**
1560

**გამოსულია და იყიდება**
**ი. გედევანიშვილის** პიესა
# „ბ ა მ ც ე მ ი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

Открыта подписка на 1914 годъ
# СОВРЕМЕННЫЙ МІРЪ
24-й г. изданія. 24-й г. изданія.

Ежемѣсячный литературный, научный и политическій журналъ.

На 1914 г. въ числѣ другихъ намѣчены къ печати: БЕЛЛЕТРИСТИКА: Романы: В. Сѣрошевскаго („Затишье"), К. и О. Ковальскихъ; повѣсти И. Потапенко („Новая Кровь"), А. Федорова („Чудо"); разсказы Д. Айзмана („Ночь на Теревѣ"), Ив. Бунина; В. Муйжеля („Хуторъ № 16") Н. Осиповича („Солистъ его величества"), Евг. Чирикова („Перелетъ"), Ив. Шмелева („На бережку") Кромѣ того, съ января печатается авторизованный переводъ съ рукописи новаго романа Генриха Мана („Вѣрноподданный"); ПОСТОЯННЫЕ ОТДѢЛЫ: Вл. Кранихфельда („Литературные отклики"), Н. Рязанова („Въ Россіи и на Западѣ" — историч. матеріалы), Ник. Іорданскаго („Политическія замѣтки"), Л. Клейнборта и І. Ларскаго („Вопросы текущей жизни"), Евг. Чирикова („Провинціальныя картинки"), Дѣмьяна Бѣднаго („Басни и сатиры"), Иностранное обозрѣніе, Библіографія. СТАТЬИ: А. Алексинскаго. В. Бончъ-Бруевича, Л. Дейча, А. Коллонтай, Н. Морозова, Г. Плеханова, Н. Рожкова, А. Финна-Енотаевскаго, Г. Цыперовича и мн. друг.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ (съ дост. и перес.): годъ—9 р.; ½ года—4 р. 50 к. ¼ года—3 р. За границу—12 р. годъ 6 р.—полгода. Безъ доставки въ Спб.—8 р. въ годъ и 4 р.—полгода.

Въ 1914 году, желая удовлетворить назрѣвшую потребность демократическаго читателя въ идейномъ и общедоступномъ по цѣнѣ журналѣ, издательство СОВРЕМЕННЫЙ МІРЪ выпускаетъ
## 2-ое УДЕШЕВЛЕННОЕ ИЗДАНІЕ
книжками (160—200 стр.), въ которыя войдутъ главнѣйшія художественныя произведенія и статьи перваго изданія.
условія подписки: годъ—4 р.; ½ года—2 р.; 3 мѣсяца 1 р.
Адресъ: С.-Петербургъ, Надеждинская, 33.
Редакторъ Ник. Іорданскій. Подробный проспектъ высылается безплатно. Издательница М. К. Іорданская.